პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 240 (19681) შაბათი, 18 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 16 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე განიხილა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ცხრა თვის შედეგები და 1986 წლის გეგმის შესრულების ამოცანები.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის პარტიის მიერ შემუშავებული კურსის განსახორციელებლად დადებითს შედეგებს იძლევა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. პრინციპულად საჭიროა, რომ უფრო სრულად ამოქმედდეს ზრდის გრძელვადიანი სტრატეგიული ფაქტორები — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოების ინტენსიფიკაცია, მისი სტრუქტურის გაუმჯობესება, საინვესტიციო პროცესის გარდაქმნა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და რესურსდაზოგვა. სრულდება დავალებანი მეტი წილი საერთო-ეკონომიური მაჩვენებლების ბიჯდგით. ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 4,3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4,8 პროცენტით. უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგის განვითარების სწრაფი ტემპი. მრეწველობაში წარმოება მოცულობა გაიზარდა 5,2 პროცენტით, რაც საგრგმო დავალებაზე მეტია და არსებითად აღემატება გასული წლის ცხრა თვის მანძილზე მის მატებას. ამით უზრუნველყოფილია დასახული ამოცანის გადაწყვეტა — ხუთწლედის უკვე პირველ წელს წარმოების განვითარების ტემპით მივაღწიოთ ხუთწლიანი გეგმის საშუალო წლიურ დავალებათა დონეს. მიღებულია უკანასკნელ წლებთან შედარებით უფრო დიდი შედეგები მიწათმოქმედებაში, მიღწეულია მეცხოველეობის პროდუქციის შემატების ზრდა. არსებითი ძვრები ხდება ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, როგორიც არის კაპიტალური მშენებლობის ტემპის დაჩქარება.

ძლიერდება ეკონომიკის განვითარების სოციალური მიმართულება. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება (ღვინო-არყის ნაწარმის გარდა) გაიზარდა 6 პროცენტით, მისი გაყიდვა კი 7,5 პროცენტით.

დაჩქარდა ფასიანი მომსახურების ზრდა, გაუმჯობესდა სახალხო მოხმარების სტრუქტურა. გაფართოვდა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მასშტაბი. დაიწყო სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განმტკიცების პროგრამის რეალიზაცია.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკაში რჩება ჯერ კიდევ ბევრი ნეგატიური მოვლენა, ბევრ დარგში გარდაქმნა მიმდინარეობს ნელა, მას არ მოუცავს ყველა შრომითი კოლექტივი. მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხელმძღვანელებს ჯეროვანი დასკვნები არ გამოუტანიათ კრიტიკიდან, რომელსაც შეიცავს წლის პირველი ნახევრისათვის შუმშინის შედეგების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება. არ არის დაძლეული ჩამორჩენა სახელშეკრულებო მიწოდებათა და პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით დავალებათა შესრულებაში. ბევრ სამინისტროს არ შეუსრულებია უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა — განაზორციელოს საწარმოთა რიტმული მუშაობა კვარტალური გეგმის ფარგლებში. კაპიტალურ მშენებლობაში მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, გარდაქმნა ამ დარგში ნელა მიმდინარეობს. კვლავინდებურად არ არის უზრუნველყოფილი რესურსების კონცენტრაცია ასამუშავებელ სახალხო-სამეურნეო ობიექტებზე. დავალებათა შესრულების დონე აქ, როგორც წესი, უფრო დაბალია, ვიდრე მთლიანად მშენებლობაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ მეოთხე კვარტალის თვიურ დავალებათა თანაბარზომიერი განაწილება, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი წარმოების რიტმულობის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ზამთრის პირობებში მუშაობისათვის მზადების დამთავრებას, ნომენკლატურის გეგმის მკაცრ დაცვასა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას. საჭიროდ არის მიჩნეული გააძლიერონ მუშაობა საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების, ბინებისა და სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, საქონლებრწყვნის დავალებათა რეალიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოსახლეობა სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხელმძღვანელებს გადაუდებლად განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დროული და ხარისხოვანი მომზადება იმისათვის, რომ მომავალი წლიდან მრეწველობა და სხვა დარგების საწარმოები გადავიდნენ მეურნეობრიობის ახალ პირობებზე. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს დაევალათ შეუნელებელი კონტროლი დაუწესონ საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთა მთელ კომპლექსს.

მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისადმი, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდება.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა, მათ შორის ექიმების, პროგვიზორების, მედდების, უმცროსი მომსახურე პერსონალის ხელფასის გადიდების შესახებ. ნავარაუდევია შრომის ანაზღაურების ახალი პირობები დაწესდეს ეტაპობრივად 1986-1991 წლების მანძილზე. უწინარეს ყოვლისა, თანამდებობრივი სარგოები უდიდდებათ ქირურგებს, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგებს, ქალთა კონსულტაციების, სამშობიარო სახლების ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს, რომლებიც რთულ და პასუხსაგებ სახეობათა სამუშაოებს ასრულებენ. უფრო დიდი სარგოებია გათვალისწინებული სოფლად მომუშავე ექიმებისათვის. ამასთან ერთად იზრდება პრემიების ოდენობა. დაწესდება სართი მუშაობის სირთულის, დაძაბულობისა და ხარისხისათვის, ღამით მუშაობისათვის. გათვალისწინებულია გაუდიდდეთ სართი იმ მუშაკებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური წოდება და სამეცნიერო ხარისხი, აგრეთვე კვალიფიკაციური კატეგორიისათვის. ამ ღონისძიებათა რეალიზაცია ხელს შეუწყობს სამედიცინო პერსონალის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, პროფესიული ოსტატობის გადიდებით მისი დაინტერესების გაძლიერებას, სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

განიხილა რა სოციალური სფეროს მართვის სრულყოფისა და ამ დარგში სამინისტროების, უწყებების, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მუშაობის კოორდინაციის გაძლიერების საკითხი, პოლიტბიურომ საჭიროდ ცნო მთავრობის მუდმივმოქმედ ორგანოდ შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოციალური განვითარების ბიურო. მას ეკისრება სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად უზრუნველყოს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სოციალური პროგრამის, სოციალური კომპლექსის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა რეალიზაცია, სოციალური განვითარების ნაწილში ხუთწლიანი და წლიური გეგმების შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილების ქმედით ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას, სოციალისტური განაწილების სრულყოფის, სოციალური სამართლიანობის პრინციპის განუხრელ დაცვას.

წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის წესით პოლიტბიუროს გადაწყვეტილებამ ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და გამოყენების დავალებათა რეალიზაციის მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ სამუშაოები ამ დარგში ფართო ფრონტით მიმდინარეობს დამტკიცებული საერთო-სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად. განსაზღვრულია მეცნიერული კვლევის შემდგომი გაშლის, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ტექნიკური დონისა და საიმედოობის გადიდების, მისი სერიული წარმოების ეფექტიანობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის უფრო ეფექტიანი გამოყენების გზები.

მოიწონეს ერნსტ ტელმანის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით მოსკოვში ჩამოსულ ე. ჰონეკერთან, ჰ. მისთან და ჰ. შტიდერთან ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის საუბრების შედეგები. გამოითქვა კმაყოფილება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის კომუნისტთა ძმური მეგობრობის განმტკიცების გამო.

მოისმინეს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან კეისონ ფომვიხანთან შეხვედრის შესახებ. პოლიტბიუროს ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ლაოსის თანამშრომლობის განუხრელ განვითარებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის, სსრ კავშირისა და ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციების ერთთანობას საბჭოთა კავშირ-ლაოსის მრავალმხრივი ურთიერთობის სრულყოფის საკითხებში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ვითარების გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში.

განიხილა რა ბურკინა ფასოს რევოლუციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარესთან, პრეზიდენტ ტ. სანკარასთან საბჭოთა ხელმძღვანელობის მოლაპარაკების შედეგები, პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის პოზიციები ერთნაირია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ძირითად საკითხებში, და დადასტურა მისწრაფება სსრ კავშირისა და ბურკინა ფასოს მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისადმი.

შეჯამდა არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტთან რ. ალფონსინთან ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკების შედეგები, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირ-არგენტინის ურთიერთობის გაღრმავების გზაზე, რომელიც სულ უფრო მრავალმხრივი ხასიათისა ხდება. აღინიშნა ორი ქვეყნის პოზიციების დამთხვევა ისეთი ბევრ მნიშვნელოვან საკითხში, რომლებიც ეხება თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებას, გამალებული შეიარაღებისა და ბირთვული გამოცდების შეწყვეტას. ამასთან დაკავშირებით დიდ შეფასებას იმსახურებს არგენტინისა და „დელის ექვსეულის“ სხვა ქვეყნების როლი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც ეხება ეკონომიკურ მშენებლობისა და სოციალური სფეროს განვითარებას, აგრეთვე ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის გამიზნული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დარგში სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა განხორციელებას.

სსრ კავშირიდან გაემგზავრა

ლენინგრადი, 17 ოქტომბერი. (საკდისი). დღეს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტი რაულ რიკარდო ალფონსინი. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ორგენტინის პრეზიდენტი საბჭოთა კავშირში

15 ოქტომბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს რაულ რიკარდო ალფონსინს.

გაიმართა გულახდილი და უაღრესად დაინტერესებული საუბარი ფართო წრის თანამედროვე პრობლემებზე — როგორ ავიცილოთ თავიდან ბირთვული საფრთხე, როგორ დავიცვათ გარემო, როგორ შევქმნათ ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესი, რომელიც გამორიცხავს ერთი ქვეყნების ექსპლოატაციას მეორე ქვეყნების მიერ.

მ. ს. გორბაჩოვმა პრეზიდენტის ყურადღება მიაპყრო საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს მსოფლიოს მრავალფეროვნებისა და მთლიანობის კონცეფცია, სადაც თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი სოციალური და პოლიტიკური არჩევნის პატივისცემის უფლება.

ხაზგასმით აღინიშნა „დელის ექვსეულის“ საქმიანობის მნიშვნელოვანი პოზიტიური როლი, რომელშიც არგენტინა აქტიურად მონაწილეობს, განსაკუთრებით ქვეყნების ამ ჯგუფის მეცადინეობა, რომლის მიზანია ბირთვული აფეთქებათა აკრძალვა. „ექვსეულის“ სახელით რ. რ. ალფონსინმა მადლობა გადაუხადა მ. ს. გორბაჩოვს მისი ინიციატივებისა და საქმიანობისადმი უურადღებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა რ. რ. ალფონსინს გაუზიარა რეიკავიკის შეხვედრისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი და მისი შედეგების შეფასებანი. ეს შეხვედრა, ხაზგასმით აღნიშნა მან, სასარგებლო იყო. მან გვიჩვენა, რომ შესაძლებელია შეთანხმებანი, რომლებიც დასაბამს მისცემს ბირთვული იარაღის ლიკვიდაციას. საბჭოთა კავშირისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მეცადინეობას ამაოდ არ ჩაუვლია, მან საშუალება მოგვცა ავსულიყავით ახალ საფეხურზე განიარაღებისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. იმ ახალ წინადადებათა შუმ მიერ წამოყენებული პლატფორმა, რომლებიც ერთმანეთისაგან განუყოფელია და რომელთაგან არც ერთის არ ვხსნით, საშუალებას გვაძლევს გავაქტიუროთ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტათა ძიება. ვითარება შეხვედრის შემდეგ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, არ გაუარესებულა, პირიქით, იგი ახალ შესაძლებლობებს სახავს. იგი სიგნალიც არის ყველასათვის, ვისაც შეუძლია და უნდა შეასრულოს კიდეც თავისი როლი დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების სასარგებლოდ.

შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

• • •

ნაყოფიერი და წარმატებული უწოდა საბჭოთა კავშირში თავის ვიზიტს რ. ალფონსინმა საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ლენინგრადში მისი გამგზავრების წინ.

მ. ს. გორბაჩოვთან საუბარმა, არგენტინა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებამ, თქვა მან, ორი ქვეყნის ურთიერთობის გაფართოების კარგი პერსპექტივები დასახა.

ჩვენს საუბრებში, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, შევეხეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის შედეგებსაც. დარწმუნებული ვარ, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩაიფუშა. თვით ორი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრის ფაქტი წინგადადგმული ნაბიჯია.

• • •

სადამოს არგენტინის პრეზიდენტი მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა. იგი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

• • •

იმავე დღეს რ. ალფონსინი ლენინგრადში ჩავიდა. მან დაათვალიერა გამაჯანსაღების მოედანზე ქალაქის გმირ დამცველთა მონუმენტი და ყვავილებით შეამკო იგი.

(საკდისი).

• • •

ლენინგრადი. (საკდისის კორ.). არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტი რ. ალფონსინი 16 ოქტომბერს ეწვია ლენინგრადის საბჭოს აღმასკომს. სტუმარს გააცნეს, თუ როგორ წყდება ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები.

პისკარიოვკის მემორიალურ სასაფლაოზე რ. ალფონსინმა გვირგვინით შეამკო დედასამშობლოს მონუმენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის [illegible]

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეთერამეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1986 წლის 17 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 17 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება, რომ სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის განსახილველად შეტანილი იქნება შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

2. სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობა.

4. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

განვავითაროთ მიღწეული, აკანაზღაუროთ დაკარგული

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დამთავრების ამოცანები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების გამგემ ლ. ი. ხაბურზანიამ. ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ბ. ხ. მაყაშვილმა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ო. ნ. სულაძემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რ. ჰ. კონცელიძემ, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. კ. შარტავამ, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ვ. კუნუნულაძ.

ინფორმაცია კაპიტალური მშენებლობის ცხრა თვის გეგმების შესრულების მიმდინარეობისა და მშენებელთა წინაშე დასახული ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ა. ნ. გლეურჯიძემ. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი დ. ვ. მანჯგალაძე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილე, საქაგრომშენის თავმჯდომარე ი. ა. ხარატიშვილი, სსრ კავშირის მშენებნაკის საქართველოს რესპუბლიკური კატორის მმართველი ზ. ბ. გეხენჯანაძე.

მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის კ. ვ. კაკანაძისა — ზამთრის პირობებში მუშაობისათვის სახალხო მეურნეობის მზადყოფნის, ელექტროენერგიისა და სათბობის მიმწოდებლების შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის რ. ბ. მეგრელიშვილისა — ზამთრის პერიოდში მუშაობისა და პირუტყვის გამოზამთრებისათვის დარგის მზადების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია.

შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ბიუროს მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. პ. ბუროვი.

რესპუბლიკის ეკონომიკაში სულ უფრო ბუნებრივად ვლინდება დადებითი ტენდენციები, აღინიშნა სხდომაზე. წარმოების ზრდის ტემპის საგრძნობმა დაჩქარებამ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე შესაძლებელი გახადა სამრეწველო წარმოების მოცულობა იანვარ-სექტემბერში გადიდებულიყო 4,7 პროცენტით, სექტემბერში კი მატების ტემპმა 7,8 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც საერთო-საკავშირო მაჩვენებელი 5,6 პროცენტს შეადგენს. წარმოებულ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები შესრულებულია 101,8 პროცენტით; შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,8 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია 140,7 მილიონი მანეთის პროდუქცია, რეალიზებულია 135,2 მილიონი მანეთისა. გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით შესყიდულია მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები. მშენებლობაში მიღწეულია საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობის დასახული მიჯნა. შესრულებულია ბინების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, პროფტექნიკური სასწავლებლების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

უზრუნველყოფილია საგეგმო დავალებანი ყველა სახეობის

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი „კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში ამ ხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობის შედეგების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად გარდაქმნის პროცესის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმა დამატებითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად დაარჩარონ მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის პროცესი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით. მსალების შინაარსი ამ საკითხზე გამოქვეყნდება.

განიხილეს „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და ამ საკითხზე საქართველოს პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა. მუშაობა, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ ამ დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციისათვის, არასაკმარისად ცნეს. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაეკალათ გააანალიზონ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის მდგომარეობა, ხასიათი და ქმედითობა, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მისი გაძლიერებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები პირუტყვის 1986-1987 წლის გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად და მისი ორგანიზებული მოწყობის უზრუნველსაყოფად, მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომლის შინაარსი გამოქვეყნდება.

განიხილეს 1986-1987 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის რესპუბლიკის ენერგეტიკული მეურნეობის მზადების საკითხი. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა არასაკმარისად ცნო, საზამთროდ დროული მომზადებისათვის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე ხარჯვისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა უშუალოდ საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს.

კონტროლის წესით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ქვაისის ტყვია-თუთიის მადაროსამმართველოს სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა რა, რომ ორმხრივ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის მაღაროთსამმართველოსა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მუშაობაში კვლავ არის არსებითი ნაკლოვანებანი, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მათს ხელმძღვანელობას მოსთხოვა ძირეული გარდატეხა საქვეუწყებო ქვეგანაყოფების საქმიანობაში 1986 წლის სამშენებლო პროგრამის უთუო შესრულების, სოციალური სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით.

იმისათვის, რომ არ განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი საწარმოს მუშაობის სტაბილიზაციისა და მისი განვითარების ღონისძიებათა რეალიზაციისათვის, სკკპ წევრს, მაღაროთსამმართველოს დირექტორს მ. მარგიევს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. იგი გაფრთხილეს, რომ თუ ამომწურავ ღონისძიებებს არ განახორციელებს საწარმოს საქმიანობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, დაისმება საკითხი, რომ იგი არ შეესაბამება თანამდებობას. მაღაროთსამმართველოს ობიექტების მშენებლობაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სკკპ წევრს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის მმართველს გ. გუჯეჯიანს გამოეცხადა საყვედური. მაღაროთსამმართველოს პარტკომის მდივანს გ. ხუციევს მკაცრი მითითება მიეცა საწარმოს მუშაობის სტაბილიზაციის ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი არასაკმარისი ყურადღებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა ძირეული ღონისძიებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის მუშაობაში ჯეროვანი წესრიგის უზრუნველყოფისათვის.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გადიდებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ „სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“.

მიღებულია აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ეროვნული დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში პერსონალური კომპიუტერების ფართოდ გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.

(საქინფორმი).

მაღაროელთა დინასტია

საყვარელო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოში № 1 უბნის გვირაბგამყვანებმა ძმებმა ზაურ, რეზო, ქუჩიკო და ვლადიმერ მაჭარაშვილებმა უკვე შეასრულეს მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა და „ასლა“ 1987 წლის ანგარიშში შრომობენ.

ოჯახური დინასტიის ტრადიციას არ ღალატობენ ძმები — მათი მამა სტაბანოველი ბიქტორ მაჭარაშვილი 33 წელს მუშაობდა ამავე მაღაროში.

სურათზე: ზაურ, რეზო, ქუჩიკო და ვლადიმერ მაჭარაშვილები.

რ. ბუსკაშვილის ფოტო.

განვავითარეთ მიღწეული, ავანაზღაურეთ დაკარგული

(დასასრული)

ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მიჩვენებლების მიხედვით, გარდა რკინიგზისა.

ამავე დროს, ხაზგასმით აღინიშნა ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, სამინისტროების, უწყებების, პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელმა როდი განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი მუშაობის ისეთი სტილის დამკვიდრებისათვის, რომელიც სრულად შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს. კომუნისტების, მშრომელების მეცადინეობა ყოველთვის მთლიანად როდი ხმარდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკვანძო მიმართულებებს.

ნელი ტემპით ხორციელდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გადაყვანა განვითარების ინტენსიურ გზაზე. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაუცველობის, კადრებისადმი დაბალი მომთხოვნელობის გამო 128 საწარმომ ვერ შეასრულა მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა გეგმები, 60 სამრეწველო საწარმომ გეგმას დააკლო 54,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. ყველაზე ჩამორჩენილთა შორის კვლავ არიან საწარმოო გაერთიანებანი „აზოტი“, „საქთვეზმრეწვი“, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, ფოთის ელექტრომანქანური მაძლიერებლების ქარხანა, კვების, მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის დარგების საწარმოები.

რესპუბლიკაში ბევრია საწარმო, რომლებიც ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობის, სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვების გადიდების დავალებებს. ყველგან ვერ განვითარდა შრომითს კოლექტივებში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალი ფორმები სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე. ნელია სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განვითარების ტემპი.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის ღრმად ვერ ანალიზებენ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხთა კომპლექსურ გადაწყვეტას. პარტიულ ორგანიზაციებში საკმარისად ვერ იყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებას, თავიანთ მუშაობაში ისინი ხშირად ადუბლირებენ და ცვლიან სამეურნეო ორგანოებს. სუსტად არის დაყენებული კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა ფაქტობრივი შესრულებისადმი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს. აღინიშნულ ეტაპზე, ოთქვა სხდომაზე, განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას საჭიროებენ აგროსამრეწველო კომპლექსის ის დარგები, რომლებზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წლიური გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა ბედი. მაგრამ მათს საქმიანობაშიც ბევრი ნაკლია. მაგალითად, საკონსერვო მრეწველობაში საანგარიშო პერიოდში გეგმების საერთო გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, დარგის წლიურ გეგმას აშკარად ჩაფუშვის საფრთხე შეექმნა. ჩამორჩენა შეინიშნება ჩაის კრეფასა და გადამუშავებაში. აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში იზრდება გადაუხდელობა, რამაც უკვე 441 მილიონ მანეთს მიაღწია. ბიუროომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, რომ უნდა დაჩქარდეს ყურძნის, მარცვლეულის დამზადების, ხილის შესყიდვის ტემპი. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალციხის, ბოლნისის, ქარელის, ხაშურის, გორის, კასპის, მცხეთის, სხვა რაიონების მეურნეობებს.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა თვალის ახვევის, წამატებების, მოტყუების ფაქტების, სხვა ანტისახელმწიფო მოვლენების წინააღმდეგ. ასეთი ფაქტები ამ ბოლო დროს გამოვლინდა ქუთაისისა და თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებებში, სხვა საწარმოებში.

ბიუროს სხდომაზე მწვავედ იდგა კაპიტალურ მშენებლობაში ნაკლოვანებათა საკითხი. ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა, მიღწეული ზრდის მიუხედავად, ცხრა თვის განმავლობაში შესრულებულია მხოლოდ 82 პროცენტით, ხოლო წლის მიხედვით მხოლოდ 42 პროცენტით.

იზრდება დაუშთავრებელ მშენებლობათა რიცხვი, არ წყდება დაუგეგმავი მშენებლობის მანკიერი პრაქტიკა. რა თქმა უნდა, მშენებლებს აქვთ ობიექტური, მაგრამ უფრო მეტი სუბიექტური მიზეზები. სწორედ ამით უნდა დავიწყოთ. აქ მთავარია რესურსების თავმოყრა ასამუშავებელ ობიექტებზე, ბრიგადული იჯარის დანერგვა. ძირეულ გარდატეხას უნდა მივაღწიოთ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების ათვისების საქმეში, რომელთა შესრულება შეადგინს იანვარ-სექტემბრის გეგმის მხოლოდ 93 პროცენტს, და შესაბამისად წლიური გეგმის 65 და 67 პროცენტს. ამ მაჩვენებლების მიხედვით განვლილი ცხრა თვის მანძილზე არ არის მიღწეული გასული წლის შესაბამისი პერიოდის გეგმის ფაქტობრივი შესრულების დონეც კი.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამუშაოთა ტემპი აჭარის №5 ტრესტსა და აფხაზეთის №6 ტრესტში იმედნად ნელია, რომ საიჯარო სამუშაოთა წლიური გეგმა შეიძლება შესრულდეს შესაბამისად მხოლოდ 50 და 80 პროცენტით, საბინაო მშენებლობაში კი 60 და 65 პროცენტით. ეს ჩაფუშვის საფრთხეს უქმნის მთლიანად რესპუბლიკაში წლიურ პროგრამას. დარგობრივი სამინისტროები სუსტად ავითარებენ საკუთარ სამშენებლო ინდუსტრიას და საშენ მასალათა მრეწველობის ბაზას. წლის დამდეგიდან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ბაზით შეადგენს 62 პროცენტს, ანუ წლიური პროგრამის 47 პროცენტს.

ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე დეტალურად გაანალიზეს ზამთრის პირობებში მუშაობის, ელექტროენერგიის, სათბობის მომჭირნეობის საკითხი. აღინიშნა, რომ ხშირად გამოდიან მწყობრიდან თბილისისა და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურების ცალკეული ბლოკები. გამოძებნონ და იპოვონ რესურსების დაზოგვის რეზერვები — აი, რა სჭირდება ახლა თითოეულ შრომითს კოლექტივს, თითოეულ მუშა კაცს. ნათლად უნდა გესმოდეს: არ დაზოგე, მაშასადამე, საქმეს გულგრილად მოეკიდე, ვალში ხარ სახელმწიფოს წინაშე, საკუთარი სინდისის წინაშე. უყაირათობა შეუწყნარებელია. და მის წინააღმდეგ, ისევე როგორც ფეხმოკიდებული მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლას უნდა მოვახ

ინტერფაქსი
ფაქტები • მოვლენები

გონივრული პოზიცია

გამოხმაურებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლაზე

საბჭოთა კავშირი თვლის, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის შემდეგ შეიქმნა თვისებრივად ახალი სიტუაცია, ბირთვული განიარაღებისათვის ბრძოლამ მიაღწია ახალ, უფრო მაღალ მიჯნას, საიდანაც საჭიროა მეცადინეობის გაძლიერება ბირთვული იარაღის რადიკალური შემცირებისა და სრული ლიკვიდაციის მიზნით. სსრ კავშირი ახალი კონტაქტებისა და მოლაპარაკების მომხრეა და დარწმუნებულია, რომ მომზადდა შესაძლო ნაბიჯი რეალური გაუმჯობესებისაკენ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ბოლოს და ბოლოს რეალისტურ პოზიციას დიკავებს. ეს აზრი ხაზგასმულია საერთაშორისო გამოხმაურებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაზე და საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის შედეგებისადმი მიძღვნილ მის პრესკონფერენციაზე. მსოფლიო პრესა ფართოდ აშუქებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 14 ოქტომბერს გამართულ სხდომას, სადაც აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბირთვული იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის, იმისათვის ბრძოლაში, რომ დედამიწამ აირიდოს ომის საფრთხე.

ვარშავა. მ. ს. გორბაჩოვმა ტელევიზიით გამოსვლისას, წერს „ტრიბუნა ლუდუ“, პრინციპულად შეაფასა ამერიკის პოზიცია. ახლა მთელი მსოფლიო ხედავს: ისტორიული შემობრუნება საერთაშორისო ურთიერთობაში არ მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით. საბჭოთა წინადადებები კვლავ ძალაში რჩება. კარი არ მიხურულა. რაკეტულ-ბირთვული იარაღის ეპოქაში მშვიდობის მისაღწევად არსებობს სხვა გზა გარდა დიალოგისა, მშვიდობიანი თანაარსებობის პრაქტიკულ შესაძლებლობათა დაფინებული ძიებისა. სოციალიზმის პოლიტიკა მხოლოდ მშვიდობისა და განიარაღების პოლიტიკა შეიძლება იყოს.

საბჭოთა კავშირმა, ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა პრესის საკითხებში, შეხვედრის დროს კეთილი ნების მაქსიმუმი გამოავლინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამერიკის მხარის მიზეზით მოლაპარაკებამ ვერ გამოიღო ნაყოფი, რომლის მიღწევაც შესაძლებელი იყო სსრ კავშირის წინადადებების წყალობით. ამერიკის შეერთებულ შტატებს კოსმოსის მილიტარიზაციის სურვილი მეტი აღმოაჩნდა, ვიდრე ბირთვული საფრთხის შემცირებისა. პოლონეთი მხარს უჭერს განიარაღებას, დაინტერესებულია ისეთ შეთანხმებათა მიღწევით, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ გამალებულ შეიარაღებას, გამორიცხავდნენ ბირთვული ომის საფრთხეს.

ბერლინი. როგორც დამაჯერებლად ცხადყო მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლამ, ხაზს უსვამს „ნიიეს დოიჩლანდი“, საბჭოთა კავშირი კვლავაც თანმიმდევრულად იღვაწებს მწვავე პრობლემების გადასაჭრელად კაცობრიობას რომ აღელვებენ. სსრ კავშირმა რეიკიავიკში მართლაცდა ეპოქალური წინადადებები წამოაყენა განიარაღების თაობაზე, იგი არ ხურავს შემდგომი მოლაპარაკების კარს. დაძაბულობის შენელებისაკენ წინსვლა შესაძლებელია.

ნიუ-იორკი. პრეზიდენტ რეიგანს, როგორც მოსკოვში აღინიშნა, არ ეყო გამბედაობა და პოლიტიკური ნება, რათა გადაედგა ისტორიული ნაბიჯი რეიკიავიკის შეხვედრაზე. წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“. გაზეთი დაწვრილებით გადმოსცემს და განმარტავს საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლას ტელევიზიით და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ლიდერმა შეხვედრა დიდ მოვლენად დაახასიათა, მან თქვა, რომ კარს არ უხურავს შეიარაღებისადმი კონტროლის ძიებას, მან დაადასტურა, რომ საბჭოთა წინადადება ბირთვული არსენალების შემცირების თაობაზე მიღებულ არ იქნა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივისადმი რეიგანის ერთგულების გამო. თუმც კი მ. ს. გორბაჩოვმა გააკრიტიკა რეიგანის დამოკიდებულება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე, მან თქვა, რომ შეხვედრას ფუჭად არ ჩაუვლია დ ამერიკის შეერთებულ შტატებში განწყობილების შეცვლის იმედი გამოჩნდა.

კონგრესის ლიდერები ორივე პარტიისაგან, აღინიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი“; დაეთანხმნენ იმას, რომ რეიკიავიკის მოლაპარაკების შედეგი გააძლიერებს კაპიტალიზმის ბოროცვის ზეგავლენას ადმინისტრაციაზე შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე პროგრესის მიღწევის მიზნით. კონგრესის ყურადღების ცენტრში ალბათ მოექცევა „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“. ამ სისტემის შემუშავების შეზღუდვაზე რეიგანის უარი რეიკიავიკის მოლაპარაკების ჩაშლის მთავარი მიზეზი გახდა. ამასთან დაკავშირებით ბევრი კანონმდებელი აღძრავს ამ ინიციატივის ღირებულებისა და განხორციელებადობის საკითხებს, რომელიც, შეფასებათა უმრავლესობის თანახმად, შეიძლება ტრილიონ დოლარზე მეტი დაჯდეს მომდევნო 15 წელიწადში.

პარიზი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იტყობინება, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა, რომელმაც პარიზში მყოფ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილესთან ი. რაფსთან განიხილა რეიკიავიკის შეხვედრების შედეგები, განაცხადა, რომ ამერიკის წარმომადგენლებს საკმაოდ სერიოზულად არ მიუღიათ მხედველობაში ის ფაქტი, რომ „მ. ს. გორბაჩოვი არაფერს დათმობს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის საკითხში“. თავის მხრივ, ი. რაფმ აღნიშნა, რომ იგი შეეიერთდა ფ. მიტერანის მიერ გამოთქმულ იმედს, რომ რეიკიავიკის შეხვედრის შემდეგ გაგრძელდება მოლაპარაკება, რომელიც შესაძლებელს გახდის დადებითი შედეგების მიღწევას ევროპისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობისათვის.

● აშშ

მორიგი ბირთვული გამოცდა

ვაშინგტონი. შეერთებულმა შტატებმა მორიგი ბირთვული გამოცდა მოაწყო ნევადის შტატში მდებარე პოლიგონზე. როგორც საკვლევის კორესპონდენტს განუცხადა ნევადის პოლიგონის წარმომადგენელმა, „ბელ-მონტ“ კოდური სახელწოდებით მოწყობილი აფეთქების სიმძლავრემ 20-150 კილოტონნა შეადგინა. მიწისქვეშა აფეთქების ტალღამ მიაღწია ქალაქ ლას-ვეგასს, რომელიც პოლიგონისაგან 103 მილზე მდებარეობს. ქალაქის მცხოვრებთა თქმით, მთელ რიგ უბნებში იგრძნობოდა შენობების რყევა.

კოლორადოს შტატში მდებარე მიწისძვრების შესახებ ინფორმაციის ეროვნული ცენტრის ცნობით, ეპიცენტრიდან 165 კილომეტრის რადიუსით აფეთქების შედეგად მიწისქვეშა ბიძგების ძალამ რიხტერის სკალით 5,4 ბალს მიაღწია.

ახლანდელი გამოცდა, რომელიც უკვე ოცდამეორეა საბჭოთა კავშირის მიერ ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმის შემოღების მერე, მოეწყო ერთ დღეში მას შემდეგ, რაც კონგრესის წარმომადგენლთა პალატამ თეთრი სახლის ზეგავლენით მოიწონა კონგრესის შემთანხმებელი კომიტეტის მიერ მომზადებული სამხედრო ასიგნებათა კანონპროექტი. კანონპროექტიდან ამოშალეს უმნიშვნელოვანესი შესწორებები, რომლებიც მანამდე მასში კანონმდებლებმა შეიტანეს, მაგ შორის ისიც, რომელიც ითვალისწინებდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერთ კილოტონაზე მეტი სიმძლავრის ბირთვული გამოცდების ერთწლიანი მორატორიუმის დაწესებას.

◆ თურქეთი

მთავრობა გადადგა

ანკარა. გადადგა თურქეთის მთავრობის ყველა მინისტრი. როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, მათ ეს ნაბიჯი გადადგეს, რათა გაუადვილონ პრემიერ-მინისტრ თურგუთ ოზალს კაბინეტის რეორგანიზაცია. ამასთან ერთად გამოცხადდა, რომ გადადგა მმართველი მამულის პარტიის ხელმძღვანელი საბჭოც, რომელსაც პრემიერ-მინისტრი მეთაურობს. ვარაუდობენ, რომ დღეს ახალი კაბინეტის წინასწარ სიას ოზალი განსახილველად წარუდგენს ქვეყნის პრეზიდენტს ქენან ევრენს.

იტყობინებიან რა ამას, უცხოეთის სააგენტოები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ოზალის კაბინეტის გადადგომა გამოიწვია მამულის პარტიის მიერ მთელი რიგი ადგილების დაკარგვამ პარლამენტის 28 სექტემბერს გამართული ნაწილობრივი არჩევნების დროს.

სერგო კლდიაშვილი



ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი სერგო კლდიაშვილი.

მაღალი ნიჭიერების, ფართო ერუდიციის მქონე შემოქმედმა, ღრმისეულად განავითარა ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციები, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინსვლაში, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელიც თვითონ იყო.

მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე სერგო კლდიაშვილი დაუღალავად იღვწოდა ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში და თავდადებულად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობლიურ ლიტერატურას.

სერგო დავითის ძე კლდიაშვილი დაიბადა 1893 წელს სოფელ ზედა სიმონეთში ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით კლდიაშვილის ოჯახში. 1913 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1917 წლის მიწურულს სერგო კლდიაშვილი საქართველოში დაბრუნდა და ლიტერატურულ და საზოგადო მოღვაწეობას შეუდგა.

იგი შემოქმედებითი გზის დასაწყისიდანვე მტკიცედ დადგა ლიტერატურის იდეურობისა და ხალხურობის პოზიციებზე. ამიტომაცაა, რომ სერგო კლდიაშვილის პატრიოტიზმთა და ჰუმანიზმით გამსჭვალულ შემოქმედებაში მაღალმხატვრულად, დიდი ადამიანური სიმართლით აისახა ყველა ის გრანდიოზული ისტორიული მოვლენა, რომლებიც ჩვენმა ხალხმა XX საუკუნის დამდეგიდან დღემდე გამოიარა.

ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა სერგო კლდიაშვილის პირველსავე რომანს „ფერფლს“, რომელიც მწერალმა ახალი ცხოვრების დამკვიდრების ძლიერამოსილ, მაგრამ რთულსა და მტკივნეულ პროცესს მიუძღვნა. ეს რომანი დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება პირველი მსოფლიო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის.

სერგო კლდიაშვილის უდავო შემოქმედებითი წარმატება იყო რომანი „მუუდრო სავანე“, რომელიც საბჭოთა საქართველოს დაბადებას მიეძღვნა.

სერგო კლდიაშვილის სახელს უშუალოდ დაუკავშირდა ქართული საბჭოთა ნოველის შექმნა, იგი სრულიად სამართლიანად ითვლება ამ ჟანრის ერთ-ერთ გამოჩენილ ოსტატად.

მისი საუკეთესო ნოველები და მინიატურები — „ჯინკა ბიგები“, „როცა ზედაზენიდან გავცქერი“, „გორგასალის თასი“, „შემოდგომის წვიმა“, „ჯორდანო ბრუნო“, „სოფლის გზაზე საქართველოში“, „შორეული ცალი“, მთელი ციკლი „სვანური მოთხრობებისა“ სამართლიანად დამკვიდრდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერლის მსუბუქი, ლაღი იუმორით გამსჭვალული ვრცელი სათავგადასავლო მოთხრობა „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი“, რომელიც მოზარდი თაობისათვის საუკეთესო წიგნად გადაიქცა.

სერგო კლდიაშვილის კალამს ეკუთვნოდა მრავალი ორიგინალური და თარგმნილი პიესა („ბერეთა თაობა“, „ბრაფის ქვრივი“, „ირმის ხევი“, „დაბრუნება“), რომელნიც წარმატებით იდგმებოდა რესპუბლიკის თეატრებში.

მწერლის კრიტიკული და პუბლიცისტიკური წერილები, რომელიც ქართული ლიტერატურის, ჩვენი ყოფის აქტუალურ საკითხებორობლო საკითხებს ეძღვნებოდა, იბეჭდებოდა როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე საკავშირო სალიტერატურო პერიოდიკაში.

სერგო კლდიაშვილის მოგონებები ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ყოველი ისტორიკოსისათვის. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული მწერლობის კორიფეებთან — აკაკი წერეთელთან და ვაჟა-ფშაველასთან, ხოლო მოგონებები მამაზე — დავით კლდიაშვილზე კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ ჩვენს დიდებულ წინაპართა ძვირფას სახელებს, მათ ნათელ ხსოვნას.

სერგო კლდიაშვილის შემოქმედება შორს გასცდა საქართველოს ფარგლებს. მისი საუკეთესო ქმნილებანი თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა, აგრეთვე უცხოურ ენებზე.

მრავალი წლის მანძილზე სერგო კლდიაშვილი ეწეოდა დაუცხრომელ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი იყო დღიდან მისი დაარსებისა. არჩეული იყო მწერალთა კავშირის პროზის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ, იყო ფურნალების „მნათობის“, „ლიტერატურნაია გრუზიას“, „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი.

საბჭოთა სახელმწიფომ ღირსულად დააფასა მწერლის ღვაწლი — იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის“ ორი ორდენითა და მედლებით.

მგზნებარე პატრიოტის, მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის სერგო კლდიაშვილის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ხალხის გულში, ჩვენი ეროვნული მწერლობის ისტორიაში.

ჯ. ი. კაკიანაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, კ. ბ. გილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ო. ბ. ვარქელაშვილი, ა. ნ. ინანური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ბ. ბ. გუმბარიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ნ. ა. ფოფხაძე, ნ. შ. ჯანგირიძე, ბ. ჰ. ემერიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ბ. ვ. ბედნიერიშვილი, ნ. ბ. ჩერქეზიშვილი, ს. ტ. რიგვავა, ბ. შ. ციცილიშვილი, ბ. ბ. აბაშიძე, ი. ბ. აბაშიძე, ხ. მ. ბერულავა, რ. კ. ინანიშვილი, შ. ბ. ნიშნიანიძე, ლ. რ. თაბუკაშვილი, ფ. ი. ხალვაში, ჯ. ა. ჩარკვიანი, თ. ი. ჭილაძე, ო. ი. ეჯიბაძე, ა. ნ. ჯიონუა, ნ. ბ. ჯუსოითი.

გამოსათხოვარი

...**აღარა** გვყავს დიდებული მწერალი, ღვთითკურთხეული შემოქმედი, ქართული პროზის დიდოსტატი, ყველასათვის საყვარელი სერგო კლდიაშვილი. რომანით „ფერფლი“ დაიწყო მან თავისი დიდი სამწერლო გზა და თვითონაც ნელა, უდრტვინველად ჩაფერფლა... ჩატყდა ის უკანასკნელი ცოცხალი ზიდი, რომელიც ყოველი ჩვენგანის წარმოდგენაში XIX საუკუნესა და მის ბუმბერაზულ მწერლობასთან გვაერთებდა.

იგი დიდი დავით კლდიაშვილის ღირსეული შვილი იყო და ლიტერატურულ საქმიანობასაც მისი მეუღლეობით ეზიარა... მე არ მახსოვს მეორე შემთხვევა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომ დიდ მწერალს დიდი შემოქმედებითი უნარით დაჯილდოვებული შვილი ყოლოდეს. ბატონი სერგო ამ მხრივაც განუმეორებელია. იგი მართლაც რომ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა მამის სახელს, რადგან მამაშვილობაც ამაღლებულად ესმოდა, მემკვიდრეობითობაც, მეგობრობაც და ადამიანური ურთიერთობაც.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ სერგო კლდიაშვილმა, ისევე, როგორც რამოდენიმე გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა თავიანთი არაპროლეტარული წარმოშობის მიუხედავად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე ეტაპზე შექმნეს ნამდვილად პროლეტარული მწერლობა, ე. ი. კლასობრივად გააზრებული, პარტიულად იდეური, მაღალი ჰუმანიზმით, დემოკრატიზმითა და ხალხურობით აღბეჭდილი ქართული საბჭოთა ლიტერატურა და მის ფუძემდებლად მოგვევლინენ. სწორედ ეს მწერლობა გახდა ქართველი ხალხის პოლიტიკური და ეროვნული იდეალების ყველაზე ძლიერ გამოხატულებად, ახალი ეპოქალური პრინციპების ყველაზე ხმამაღალ მღაღადებლად.

სერგო კლდიაშვილი უძველესი და უმდიდრესი ეროვნული მწერლობის ისტორიაში ახალი პერიოდის მეკვლეთაგანია, ახალი ეპოქის მხატვრული აზროვნების ერთი პირველი მერცხალთაგანი, თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ერთი მესაძირკველე და მისი სიამედო ბურჯთაგანი.

დღეს ჩვენდა სავალალოდ ეს ბურჯიც წაგვეცა..

სერგო კლდიაშვილი რომ თავისი თავის უკეთ დამფასებელი, საკუთარი ღვაწლის უკეთ წარმომჩენი ყოფილიყო, ალბათ ზოგიერთი თანამედროვის თვალში მის შემოქმედებასაც მეტი ფასი დაედებოდა. მაგრამ იმათთვის, ვისაც ესმის მწერლის ხმა, გრძნობს მის ძალასა და დროულობას, ხედავს მისი სიტყვის ფხასა და ჯავრიანობას. მნიშვნელობა არა აქვს მწერლის პოპულარობის ხარისხს. ლიტერატურის ყოველმა ჭეშმარიტმა მცოდნემ და დამფასებელმა ჩინებულად იცოდა იმათი ფასიც, ვინც ზომაზე მეტად იჯგიმებოდა და ბატონ სერგოსნაირი, თითქოს მივიწყებული მოღვაწეობის ფასიც, რომელთაც არ შეეძლოთ (და არცა სურდათ) ჩვენთვის წარამარა თავი შეეხსენებინათ.

ჩუმი და მოკრძალებული, თავმდაბალი და მარად კეთილმოსურნე, უყრადღებიანი და სათნო, ყველაფერში მართალი, ამავე დროს მეტად ღრმად და მახვილად გამაქცქარალი, მეტად ქართული და მეტად ადამიანური შემოქმედი, მართლაც კაცური კაცი, ჭეშმარიტად დიდი კაცი — ასეთი იყო და ასეთად დარჩება ბატონი სერგო ჩვენს მეხსიერებაში.

ამ ჩია ტანის მოხუცს საოცრად უდრეკი, მამაცი, ამაყი და რაინდული სული ჰქონდა. მან არ იცოდა რა იყო კომპრომისი, სიმართლის დათმობა, საკუთარი სულის ღალატი არც დიდსა და არც პატარა საქმეში. ეს თვისებები მარტო მის პიროვნულ თვისებებად როდი დარჩა, მათ მის შემოქმედებაშიც დაიმკვიდრეს ადგილი და მისი უბრწყინვალესი პროზის წიგნად იქცნენ.

ს. კლდიაშვილმა არამარტო პროზას, ქართულ დრამატურგიასაც ღრმა კვალი დაამჩნია.

სამუდამოდ დადუმდა სერგო კლდიაშვილის ტკბილმოუბარი ენა, სამუდამოდ გაჩუმდა მისი მადლიანი მარჯვენა. და ვაგლახ, ჩვენ რომ საყოველთაოდ ზრუნვას ატანილებმა ჯეროვნად ვერ დავუტკბეთ სიცოცხლის დასალიერი...

სანუგეშო მხოლოდ ის არის, რომ მისი ნათელი სახე და საამაყო სახელი არასოდეს არ წაიშლება, არ გაფერმკრთალდება არც ჩვენს მეხსიერებაში და არც ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გიორგი ციციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ავღანეთი

გამოაცილეს საბჭოთა მმომრეები

შინდანდი-ჰერათის პროვინცია. საზეიმო მარშისათვის ჩამწკრივებული სატანკო პოლკი მრავლისმნახველ ადამიანებზეც კი ახდენს შთაბეჭდილებას. ჩამწკრივებულან ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები. ბურავების ნამსხვრევებითა და ტყვიებით, დაკაწრული მათი ჯავშანი რამდენიმე წლის მანძილზე საომედო ფარი იყო სახალხო ხელისუფლებისათვის, რომელიც ძ�ითდეზე მტკიცდება. საბრძოლო მანქანების წინ კი, რომლებიც მზად იყვნენ უკანასკნელი სალაშქრო მარშით გაევლოთ ავღანეთის მიწაზე სსრ კავშირის საზღვრისაკენ, სწორ რიგებად დგანან ინტერნაციონალისტი მეომრები. მათ ღირსულად მოიხადეს თავიანთი ვალი.

იწყება საზეიმო მიტინგი. მასში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნაჯიბმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ა. ქეშთმანდი, სხვა ოფიციალური პირები. ქოერს სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

სსრ კავშირის ელჩმა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. პ. მოკაევმა წაიკითხა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკიდან შინ მომავალი ინტერნაციონალისტი მეომრებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის ტექსტი.

მოკლე რეპორტაჟში შეუძლებელია გადმოიცეს ინტერნაციონალისტი მეომრებისადმი მიმართვის სიტყვების მთელი სითბო, გულითადობა და გულწრფელობა.

მთელი ავღანელი ხალხის აზრები და მისწრაფებანი გამოხატა თავის გამოსვლაში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნაჯიბმა.

პარტიის, მთელი ავღანელი ხალხის სახელით ნაჯიბმა სატანკო პოლკის პირად შემადგენლობას გადასცა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს და მინისტრთა საბჭოს სამახსოვრო დროშა და სკულპტურული კომპოზიცია „საბრძოლო ძმობა“.

ავღანელი ხალხის მისამართით მიტინგზე მრავალი თბილი სიტყვა წარმოთქვეს საბჭოთა ინტერნაციონალისტმა მეომრებმა.

გაისმის ბრძანება „მანქანებში!“ მარშის „სლავი ქალის გამოთხოვების“ ხმები და სატანკო კოლონა, რომელსაც წინ მიუძღვის მეთაურის საბრძოლო მანქანა, წითელ დროშას რომ მიაფრიალებს, დაიძრა სამშობლოსაკენ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაკენ.

პოლიტიკური ნახატი

ოფიციალური ტოკიოს წყაროებით პენტაგონი კვლავ არაფრად აგდებს იაპონიის სამ უბირთვო პრინციპს — არ იქონიოს, არ აწარმოოს და არ შემოიტანოს ბირთვული იარაღი, აგრეთვე ამ ქვეყნის სამშვიდობო კონსტიტუციას. ამ ბოლო ხანს იაპონიის ნავსადგურებში სულ უფრო ხშირად შედიან ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდები, რომლებზეც დადგმულია ბირთვული იარაღი, მათ შორის ფრთიანი რაკეტების „ტომაგავკის ბასაშვები მოწყობილობა“.

(გაზეთიდან).

გაზეთ „აკაჰატას“ სურათზე იეროგლიფებით წარწერილია: „იაპონიის სამი უბირთვო პრინციპი“.

საკადესის ფოტოკორესპონდენტი.

● სალვადორი

ვითარება მიწისძვრის შემდეგ

ჰავანა. სალვადორიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების თანახმად, მსხვერპლთა რიცხვი რიხტერის სკალით 7,5 ბალის ძალის დამანგრეველი მიწისძვრისა, რომელიც ამ ქვეყანაში გასულ პარასკევს მოხდა, 3 ათასამდე გაიზარდა. დღეისათვის ძნელია დადგინდეს დაღუპულთა საბოლოო რაოდენობა, რადგან დასაშლელია მრავალი შენობის ნანგრევები. სალვადორის დედაქალაქის ნაგებობათა 85 პროცენტზე მეტი მთლიანად დაინგრა ან სერიოზულად დაზიანდა. მეცნიერები აღნიშნავენ სეისმური აქტიურობის შემცირებას.

სან-სალვადორში მაშველ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ მექსიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, საფრანგეთისა და იაპონიის მოხალისეთა ბრიგადები. მნიშვნელოვანი ძალებია თავმოყრილი „რუბენ დარიოს“ შენობის ნანგრევების გაწმენდისათვის, სადაც, როგორც ვარაუდობენ, ცოცხლად დაიმარხა დაახლოებით 500 კაცი. არსებობს ეპიდემიის სერიოზული საფრთხე.

იმ 200 ათასი სალვადორელიდან დიდი უმრავლესობა, რომლებმაც დაკარგეს საცხოვრებელი მიწისძვრის შედეგად, სერიოზულ აღშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ხელისუფლებს დღემდე არ განუხორციელებიათ არავითარი ღონისძიებანი მათი მდგომარეობის შესასუბუქებლად. ქალაქში არ ჰყოფნით მედიკამენტები, სურსათ-სანოვაგე და სასმელი წყალი. დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად სასწრაფო ღონისძიებების განხორციელების ნაცვლად ხელისუფლები სჯერდებიან დეკლარაციულ განცხადებებს „რომ შეუძლებელია სათანადო დახმარების აღმოჩენა სახსრების უქონლობის გამო“.

მონანიება ზნეობრივი აღორძინების საფინდარია

ჩემი თაობის ადამიანებს თუღა ახსოვთ, რომ ჩვენს მხატვრულ კრიტიკაში ერთ დროს გაბატონებული იყო „უკონფლიქტობის თეორია“. ამ „თეორიის“ მიხედვით კლასობრივი ანტაგონიზმის დაძლევის შემდეგ სოციალურ კონფლიქტებს საფუძველი გამოეცალა და არც მათი ასახვა იყო საჭირო ხელოვნებაში. იყო ამ თეორიის შერბილებული, „მორცხვი“ ვარიანტიც, რომლის მიმდევრებს, — რაკი ახსოვდათ, რომ კონფლიქტი ხელოვნების მრავალი ჟანრის აუცილებელი ელემენტია, — დასაშვებად მიაჩნდათ კარგისა და უკეთესის კონფლიქტის ჩვენება ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

ცხოვრებაში კი, ნამდვილ, რეალურ ცხოვრებაში, ცხადია, კონფლიქტებიც ბევრი იყო, დრამატული და ტრაგიკული კოლიზიებიც და სიტუაციებიც. არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო, რადგან ცხოვრება ყოველთვის ახლისა და ძველის, დადებითისა და უარყოფითის, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა, რადგან ადამიანები ანგელოზები არ არიან და მათში სიკეთის საწყისებიცაა და ბოროტებისაც. არც შეცდომებისგან არის ვინმე დაზღვეული. ეს არ შეიძლება არ სცოდნოდათ უკონფლიქტობის თეორიის მოსახრეებსაც. ამდენად ისინი სიცრუესა და ორპირობას ასწავლიდნენ ხელოვნების ოსტატებსაც და მათს აუდიტორიასაც. სიცრუე და ორპირობა კი მარტო რუსთაველის ეპოქაში როდი ვნებდა სულსა და ხორცს.

სხვაც ბევრი იყო მსგავსი ტიპის ვულგარიზატორული დოგმა. ასე, მაგალითად, სავსებით სწორი მარქსისტული დებულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქმედი ზნეობრივი ნორმებისა და შეხედულებების კლასობრივი და ისტორიული ხასიათის შესახებ ისე იყო გაგებული, თითქოს ეს დებულება პირწმინდად გამორიცხავდა საყოველთაო და მარადიულ ზნეობრივ ღირებულებათა არსებობას, თითქოს ზნეობრივი ნორმები მხოლოდ რელატურია და მათში აბსოლუტურის მარცვალიც კი არ არის. ეს კი ფაქტობრივად ნიშნავდა ზღვრის წაშლას ზნეობასა და უზნეობას შორის.

მსგავსმა დოგმატურმა შეხედულებებმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ჰუმანტარული კულტურის, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების, საზოგადოებათმცოდნეობისა და ადამიანთმცოდნეობის განვითარებას. ჰუმანიტარული კულტურის გარეშე კი, განსაკუთრებით დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, საზოგადოების ნორმალური და ჰარმონიული არსებობა და წინსვლა შეუძლებელია.

დღეს „უკონფლიქტობის თეორია“, როგორც ვთქვი, ცოტა ვინმეს ახსოვს, მრავალი სხვა დოგმაც უკუგდებულია, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ დასაძლევია, რათა მთელი სიგრძე-სიგანით გავუსწოროთ თვალი ცხოვრებისეულ სიმართლეს, ნათლად გავარჩიოთ მასში კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, კარგს მხარი დავუჭიროთ, ავს ვებრძოლოთ და ამით ავამაღლოთ ჰუმანიტარული კულტურის როლი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებასა და სასიკეთოდ გარდაქმნაში.

ჩვენ ყველას გვეამაყება, რომ ამჟამად უკვე მთელ ჩვენს ქვეყანაში დაწყებული ზნეობრივ-რევოლუციური მოძრაობის მოწინავეთა რიგებში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ოსტატები არიან, მათ შორის ჩვენი კინემატოგრაფისტები, რომელთა ღვაწლი ხელოვნების თვითმყოფ დარგად (და არა სხვა ხელოვნებათა მონაპოვრების ილუსტრატორად) კინოხელოვნების ჩამოყალიბებაში და საადეილო ზოგადადამიანური პრობლემების წამოჭრასა და გაშუქებაში საყოველთაოდ არის აღიარებული. ჩვენი ხელოვნების წარმატებათა პირობა ზემოხსენებულ დოგმათა პრაქტიკულ დაძლევამიც უნდა ვეძებოთ.

ამ დღეებში მაყურებელმა მიიღო ქართული კინემატოგრაფის ახალი შედევრი — თენგიზ აბულაძის „მონანიება“.

მე კინომცოდნე არა ვარ და ფილმის მხატვრულ ღირსებებზე სიტყვას ვერ ჩამოვართმევ სპეციალისტებს, მაგრამ თავს ნებას მივცემ ორიოდე სიტყვა ვთქვა მის საზოგადოებრივ-ეთიკურ ღირებულებაზე.

არის ჭეშმარიტებანი, რომელთა აზრსა და მნიშვნელობას ვერ გაიგებ და ვერ გაითავისებ, თუ ისინი მთელი გულით არ განიცადე, თუ ისინი შენს სინდისს არ შეეხო. ეს ჭეშმარიტებანი, უ

ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲜᲔᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲔᲑᲘ

რამდენიმე დღეა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი დაბრუნდა ლენინგრადიდან, სადაც იგი სამი კვირის განმავლობაში უჩვენებდა თავის ბოლო წლების საუკეთესო სპექტაკლებს. ის, რაც ნევისპირა ქალაქში მარჯანიშვილელთა ხელოვნებამ გამოიწვია, აღტაცებაზე მეტი იყო. გასტროლებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი ეროვნული სასცენო ხელოვნების მაღალი დონე, ტრადიციების ერთგულება, სიახლის გამჰპვილებული გრძნობა. და ახლა, როდესაც მარჯანიშვილის თეატრის სახელოვანმა ისტორიამ კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი შეიმატა, რა თქმა უნდა, „კომუნისტის" მკითხველებს დაინტერესებს ცნობილ ლენინგრადელ თეატრმცოდნეთა მიერ ქართული სპექტაკლების პროფესიული შეფასება.

აი, რას ამბობს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი **მარინე დმიტრევსკაია:**

— მიმდინარე წელს ლენინგრადელთა მიერ ნანახი სპექტაკლების ფონზე ეს კოლექტივი გამოირჩევა შინაგანი ღირსებით. სტუმრების რეპერტუარი იყო შეტად საინტერესო, ყველაფრის ნახვა გინდოდა. და აი, რა არის დამახასიათებელი: თეატრმა მკაფიოდ გამოავლინა ლტოლვა ტრაგედიულობისადმი, ექსტრემალურ. გარემოებებში გადასაჭრელ კონფლიქტში ხასიათების გამოვლენისადმი. ჩვენ ვნახეთ მსახიობები, რომლებმაც იციან ტრაგედიის თამაში.

უწინარეს ყოვლისა, მინდა დავასახელო ოთარ მეღვინეთუხუცესი და ნოდარ მგალობლიშვილი, რომლებმაც გაგვაოცეს სამეფისრულებლო პალიტრის მრავალფეროვნებით. ისინი მონაწილეობდნენ სამ სპექტაკლში და შექმნეს სიკეთისა და ბოროტების სამი სრულიად განსხვავებული სახე. „ჯაყოს ხიზნებსა" და „პროვინციულ ამბავში" მაყურებლები მოხიბლა ნანა ჩიქვინიძემ.

დეზდემონას როლის შესრულების ჩვეულებრივი ტრადიციები ბიბიდულად უარყო მარინე ჯანაშიამ, რომელმაც ეს სახე კდემამოსილებით ალავსო. როგორც ტრაგედიული, ისე კომიკური მრავალფეროვანი მსახიობური ფერებით იზიდავს მაყურებელს გურანდა გაბუნიას სასცენო ქმნილებანი.

სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების ლენინგრადის განყოფილების კრიტიკის სექციის თავმჯდომარე **ნინო რაბინოვიჩი** აღნიშნავს:

— დღეს უყლეები გვაქვს ვილაპარაკოთ ერთ მთლიან და მკაფიო მოვლენაზე — თემურ ჩხეიძის თეატრზე. ეს ხელოვანი რამდენიმე წლის წინათ გავიცანი, როცა ვნახე „შობლიური ჩემი მიწავ", რაფდენი ადამიანურობა იყო მის გმირში, რომელიც ფიქრობს ჩვენი ყოფიერების საკვანძო პრობლემებზე — თავისი მიწის, ხალხის, სამშობლოს წინაშე ადამიანის პასუხისმგებლობაზე. თავის სპექტაკლებში იგი ამავე თანამიმდევრულობით ავითარებს ამ მარადიულ თემებს. ჩვენ ვნახეთ მკაცრი, ზოგჯერ ასკეტური რეჟისორიც კი, რომელშიც ყველაფერი ექვემდებარება ადამიანის სულის ღრმა გამოვლენას. სწორედ ეს არის ჩხეიძე — რეჟისორის ოსტატობა: იგი არასდროს არ ცდილობს თავისი თავის წარმოჩენას, თავისი შესაძლებლობების გამოჩვენებას. მხურვალე მხარდაჭერასაც იმსახურებს მისი სწრაფვა კლასიკური ტრაგედიისა და ისტორიულ-ფილოსოფიური პრობლემისადმი. ყოველივე ეს სრულდება მაღლიან ეროვნულიობიდან, წინამორბედთა შემოქმედებითს მონაპოვრებზე დაყრდნობით.

შოვუსმიხოთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, ნ. ჩერკასოვს სახელობის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორს **ლევ გიტელმანს:**

— საქართველოში განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ შექსპირისადმი, და მარჯანიშვილელთა დადგმულმა „ოტელომ" კიდევ უფრო განამტკიცა ჩემი აზრი, რომ ინგლისური კლასიკა ქართულ ნიადაგზე უხვ აღმოსაჩენს იძლევა. ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ სხვადასხვანაირ შექსპირს: პოლიტიკურს, ექსტრავაგანტურს, მკაცრს, ყოფითს. ჩხეიძის დადგმაში არის ტექსტის შემოკლებებიც, უჩვეულო მონტაჟიც, მაგრამ შექსპირი ამით არაფერს კარგავს. სპექტაკლი რეჟისორული თვალსაზრისით მკვეთრად გამოკვეთილი და დამჯერებელია. თუმცა უნდა ვაღიაროთ იგი საკმაოდ წინააღმდეგობრივ გრძნობებს იწვევს, მაგრამ გაკვირვებას თანდათან ცვლის დიდი ინტერესი ყოველივე იმისადმი, რაც სცენაზე ხდება.

კლასიკის ხორცშესხმის საქმეში დასის დიდ შესაძლებლობებს ადასტურებს იაპონელი მწერალის მონაეიმონ ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე", რომელიც საინტერესოდ დადგა მედეა კუპუნიძემ. ლენინგრადელებმა პირველად ნახეს ეს სპექტაკლი. იგი გამოირჩევა ჩინებული ატმოსფერით ნამუშევრებით. მინდა საგანგებოდ გამოვყო ახალგაზრდა რეზო ჩხიკვიშვილის დარამატული ნიჭი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, შეძლებდა როგორც ჰამლეტის, ისე ანტონიუსის როლების შესრულებას.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ნ. ჩერკასოვის სახელობის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის რუსული და საბჭოთა ხელოვნების კათედრის გამგე, პროფესორი **გალინა ლაპკინა** ამბობს:

— თეატრს ვიცნობ ჯერ კიდევ თბილისში ყოფნის დროიდან. და ახლა მომეცა შესაძლებლობა ავლავ დავრწმუნებულიყავი, რა საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს კოლექტივი. მას ახასიათებს გემოვნებისა და ზომიერების გრძნობა. ამასთან ეს ეხება არა მარტო რეჟისურას, არა მარტო მსახიობთა ნამუშევრებს, არამედ გაფორმების უაღრესად მაღალ კულტურასაც, აქ შეგვიძლია გავიხსენოთ სპექტაკლი „ჰაკი ანბის" შინაარსობრივად ლაკონიური სცენოგრაფია, რომელიც შეესატყვისება დამდგმელს ეპიკურ ჩანაფიქრს, და თავისი მეტაფორულობით საოცარი შუქის თამაში „ვარსკვლავთცვენაში". ჩვენს სტუმრებს, რომლებსაც აქვთ უაღრესად მდიდარი თეატრალური კულტურა, უნარი შესწევთ ამით ისარგებლონ დიდი ტაქტით, არასდროს არ გადაჭარბონ. ეფექტრობ, რომ ნანახის ღრმა პროფესიული ანალიზი დიდ მასალას მისცემს ფიქრისა და განსჯისათვის ლენინგრადის თეატრს, რომელსაც, როგორც ცნობილია, ქართულ თეატრთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. დადგმისადმი მიდგომის სიახლე, ეროვნული ფესვების გრძნობა, ეროვნული ხასიათის წვდომა — ყოველივე ამის სწავლა შეიძლება თბილისელებისაგან. მათთვის დამახასიათებელია ისტორიის ნამდვილი მოქალაქეობრივი შეგრძნება, უნარი დღევანდელი დაუკავშირონ მარადიულს. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის მათი თანამედროვეობის საიდუმლოება.

... მაყურებლები, თეატრალური კრიტიკოსები სიამოვნებით აღინიშნავდნენ ელენე ყიფშიძის, თამარ სხირტლაძის, ირაკლი უჩანეიშვილის, ტარიელ საყვარელიძის, გივი ჩუგუაშვილის, ახალგაზრდების — ნინო კობერიძის, ნინო დუმბაძის და სხვათა მაღალ აქტიორულ ოსტატობას.

ვნებათაღლეცა დაცხრა, და უკვე მარჯანიშვილის თეატრის მთელი ყურადღება მიპყრობილია ახალი სეზონისადმი. სეზონი კი დღეს გაიხსნება კარგად ცნობილი სპექტაკლით „ასის წლის წინათ", რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი ეძღვნება. გარდა ამისა, რომ რეპერტუარში კვლავ დარჩება ბოლო წლების საუკეთესო დადგმები, ბუნებრივია, ახალ სპექტაკლებსაც უნდა ველოდოთ. სახელდობრ, მედეა კუპუნიძე მუშაობს ლევან მალაზონიას პიესაზე „მგზავრები", ბრეხტის „სამგროშიან ოპერას", კი ამზადებს თეიმურაზ აბაშიძე. თემურ ჩხეიძეს განზრახული აქვს მ. ბულგაკოვის „მოლიერის" დადგმა, გოგი თოდაძე ფიქრობს დადგას სპექტაკლი რევაზ ინანიშვილის მოთხრობების მიხედვით და ა. შ.

ეპვგარეშეა, მარჯანიშვილელთა ახალი სეზონი ბევრ სასიამოვნო წუთებს განაცდევინებს თეატრის მოყვარულთ. **(„კომუნისტის კორ.").**

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲛ ᲙᲝᲕᲐᲜᲝᲕᲘ

1986 წლის 12 ოქტომბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 78 წლისა გარდაიცვალა 1940 წლიდან სკკპ წევრი, პერსონალური პენსიონერი პავლე ვასილის ძე **კოვანოვი.**

პ. ვ. კოვანოვი დაიბადა ლეხინგრადში, მუშის ოჯახში, შრომითი საქმიანობა 1924 წელს დაიწყო სოფლის სკოლის მასწავლებლად, შემდეგ რუსეთის სფსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი სკოლების ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა.

დიდი სამამულო ომის წლებში იგი სამხედრო კორესპონდენტი იყო კალინინის, ჩრდილოეთ კავკასიისა და მეორე უკრაინის ფრონტებზე. ომის დამთავრების შემდეგ პავლე კოვანოვი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პასუხსაგებ სამუშაოზეა — არის ინსტრუქტორი, სექტორის გამგე, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე.

1956 წელს აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, 1962 წლიდან სსრ კავშირის პარტიული და სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობს, ხოლო 1965 წლიდან — სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ. 1972 წელს პენსიაზე გასვლის შემდეგ პ. ვ. კოვანოვი განაგრძობდა აქტიურ მუშაობას ნავთობგაზმრეწველის სამინისტროს ინსტიტუტში ახალ სახეობათა ტრანსპორტის დარგში მეცნიერ ხელმძღვანელად. პარტიის XXII ყრილობაზე პ. ვ. კოვანოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ხოლო XXIII ყრილობაზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. არჩეული იყო სსრ კავშირის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, მეორე ხარისხის სამამულო ომის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და სსრ კავშირის მედლებით.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პოსტზე პ. ვ. კოვანოვი პრინციპულობას და საუკეთესო ადამიანურ თვისებებს იჩენდა, რითაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

პ. ვ. კოვანოვის — თვალსაჩინო პარტიული მუშაკის ნათელი ხსოვნა, რომელმაც ბოლომდე შეალია თავისი ძალ-ღონე და ცოდნა პარტიის საქმეს, მარად დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ბ. ე. ᲨᲐᲠᲑᲘᲜᲐ, ნ. კ. ᲑᲐᲘᲑᲐᲙᲝᲕᲘ, მ. ს. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘ, ა. მ. ᲨᲐᲚᲝᲚᲘᲮᲘᲜᲐ, ვ. ბ. ᲩᲘᲠᲙᲝᲕᲘ, ბ. ე. ᲞᲐᲢᲝᲜᲘ, ჯ. ი. ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ — ᲝᲗᲮᲒᲖᲘᲡ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. მაია ჩიბურდანიძემ მეოთხედ მოიპოვა პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკე ქალის წოდება. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო პირველობაზე ელენე ახმილოვსკაიასთან მატჩის გადადებული მეცამეტე პარტია განუახლებელად ყაბმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიში გახდა — 8:5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ, რომელმაც ვადამდე შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

მეოთხმეტე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ-ახმილოვსკაიას მატჩის მეცამეტე პარტია თავით ბოლომდე ჩემპიონის უპირატესობით მიმდინარეობდა. ლაზიერის გამბიტში ჩიბურდანიძემ მეტოქეს, უნდა ვიფიქროთო, ფსიქოლოგიურად სავსებით სწორად, საშუალება არ მისცა გამოეყენებინა ეგრეთ წოდებული „მერანოს ვარიანტი", რომელიც დამუშავებულია საუკუნის პირველი მეოთხედის გამოჩენილი თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის, დიდოსტატ აკიბა რუბინშტეინის მიერ და შემდეგ მრავალი სპეციალისტის კვლევის საგანი გახდა. ჩემპიონმა მიმართა „ანტიმერანოს" სქემას, თავიდანვე ისარგებლა მეტოქის უზუსტო თამაშით და ლაზიერის ფრთაზე ძლიერი ინიციატივა მიიღო. დაახლოებით მეთხუთმეტე სვლისათვის ძნელი იყო პრეტენდენტისათვის რაიმე ეერჩიანა — მისი პიკები დასუსტდნენ, სათანადო დაცვა კი არა ჩანდა. ჩიბურდანიძემ ფორსირებული კომბინაციით მოიგო პიკი, ამასთან გაიცვალა ყველა მსუბუქი ფიგურა, თამაში ლაზიერებისა და ეტლების ენდშპილში გადავიდა თეთრების მატერიალური უპირატესობით. მართალია, მის გამოყენებას დიდი დრო უნდოდა, მაგრამ შავებს რაიმე იმედი არ შეეძლოთ ჰქონოდათ. აქ ხაზი უნდა გაესვას პრეტენდენტის დიდ შეუპოვრობას. სხვა მის ადგილზე ხელს ჩაიქნევდა, ახმილოვსკაია კი შეუპოვარ წინააღმდეგობას გაგრძობდა. მის მეტოქეს უპირატესობის რეალიზაცია მაქსიმალურად გაუხანელდა, როცა 29-ე სვლაზე პრეტენდენტმა უკანასკნელ შესაძლებლობას მიმართა და მეფის ფრთაზე კიდური პაიკის წინსვლა დაიწყო, ჩემპიონს მყისვე უნდა აღეკვეთა ამ პაიკის შემდგომი მოძრაობა. მაია, ცოტა არ იყოს, ფულდამშვიდებით მოიქცა. შემდეგ ამ კიდური პაიკის მიერ შექმნილი მუქარის მოსაგერიებლად თეთრებს თავიანთი გამსვლელი პაიკის დათმობა მოუხდათ. თამაში გადავიდა დაბოლოებაში, სადაც თეთრებმა კი შეინარჩუნეს თავიანთი მატერიალური უპირატესობა, მაგრამ დაფაზე თეორიულად საყაიმო პოზიცია წარმოიშვა. სხვა საკითხია, რომ ჩიბურდანიძეს ასეთი შედეგიც სავსებით აძლევს ხელს მსოფლიო ჩემპიონობის მეოთხედ მოსაპოვებლად.

ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ — ᲐᲮᲛᲘᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ

ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲘᲢᲘ

1. d4 Სf6 2. c4 e6 3. Სf3 d5 4. ᲡC3 c6 5. e3 ᲡbD7 6. ᲚC2 Დe7 7. b3 0—0 8. ᲓD3 c5 9. cd ed 10. 0—0 b6 11. dc bc 12. e4 d4 13. ᲡA4 g6 14. ᲓA3 ᲓB7 15. ᲓC5 ᲡC5 16. ᲡC5 ᲓC5 17. ᲚC5 ᲓE4 18. ᲓE4 ᲡE4 19. ᲚD4 ᲡG5 20. ᲚE3 ᲡF3+ 21. ᲚF3 ᲚA5 22 a3 ᲡAE8 23. b4 ᲚA4 24. g3 ᲡE5 25. ᲡAE1 ᲡF5 26. ᲚC3 ᲡD8 27. ᲡE7 a5 28. ᲡFE1 ab 29. ab h5 30. ᲡA1 ᲓD1+ 31. ᲡD1 ᲚD1+ 32. ᲡE1 ᲚD7 33. ᲡE5 ᲡE5 34. ᲚE5 h4 35. ᲚE2 h3 36. b5 ᲚD4 37. ᲚF1 ᲚB2 38. ᲚH3 ᲚB5 39. ᲚG4 ᲚB7 40. h4 ᲚB1+ 41. ᲡG2 ᲡF8 42. h5. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ 92-ᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ქალაქ ლოზანაში მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 91-ის სესიაზე გადაწყდა, რომ 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიადა მოეწყოს ბარსელონაში (ესპანეთი), ზამთრისა კი ალბერვილში (საფრანგეთი).

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲘᲢᲐ

ᲤᲔᲮᲑᲖᲣᲠᲗᲘᲡ. გთავაზობთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში გამართული კალენდარული მატჩების შედეგებს: **პირველი ჯგუფი.** ავსტრია-ალბანეთი — 3:0, **მეოთხე ჯგუფი.** ინგლისი-ჩრდილოეთ ირლანდია — 3:0; **მეხუთე ჯგუფი.** უნგრეთი-ჰოლანდია —0:1, პოლონეთი-საბერძნეთი — 2:1, **მეექვსე ჯგუფი.** ჩეხოსლოვაკია-ფინეთი — 3:0, **მეშვიდე ჯგუფი.** ლუქსემბურგი-ბელგია — 0:6, ირლანდია-შოტლანდია — 0:0.

18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა გდრ-ის ნაკრები. ფინალში გერმანელებმა დაამარცხეს იტალიელთა ნაკრები — 3:1. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ გფრ-ის ფეხბურთელებს, რომლებმაც ამ ადგილისათვის შეხვედრა მოუგეს შოტლანდიელებს — 1:0.

ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲜᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, გვიან საღამოს, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოხდა მთვარის სრული დაბნელება. იგი დაიწყება ადგილობრივი დროით 21 საათსა და 30 წუთზე. ამ დროისათვის მთვარე თავისი მარცხენა კიდეთი შეეხება დედამიწის ჩრდილს, ხოლო 22 საათსა და 42 წუთზე დაიწყება სრული დაბნელება. 23 საათსა და 19 წუთისათვის დადგება მთვარის დაბნელების მაქსიმალური ფაზა. 23 საათსა და 56 წუთზე გამოჩნდება მზით განათებული დედამიწის თანამგზავრის მარცხენა კიდე, ხოლო 18 ოქტომბრის 01 საათსა და 08 წუთზე მთვარე კვლავ აციდგება ცის კამბადონზე.

ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ,
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე.
(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ

ᲡᲡᲠ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი იუწყებიან, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის 1,0 მილიარდი მანეთის ობლიგაციათა დაფარვის მეორე ტირაჟი (1952 წლის გამოშვება) მოეწყობა 1986 წლის 14 ნოემბერს ყაზანში. ამ ტირაჟის ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება ცენტრალურ გაზეთებში 10 დეკემბერს, ხოლო შემნახველი სალაროები დაფარვის ტირაჟში გასული ობლიგაციების ანაზღაურებას დაიწყებენ 1986 წლის 11 დეკემბრიდან.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲒᲖᲐ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲪᲔᲛᲐ ᲒᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲬᲠᲓᲔᲚᲘᲡᲐ...

ᲬᲔᲚᲘ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲡ ნაკლიცა და სიკეთეც, საერთოდ, ოჯახიდან მოდის.

ვერა და ვერ მოიშალეს წინდაუხედავმა მშობლებმა შვილების ზედმეტად განებივრება, უშრომლად ცხოვრების ყველა „სიკეთის" შექმნისათვის ზრუნვა. სწორედ ამის შედეგია, რომ ზოგიერთი მოსწავლე ახალგაზრდა, სტუდენტები მამიკოების ნაყიდ ავტომანქანებს დაეჯროლებენ და ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამად.

ისედაც სავსე თბილისის ქუჩებში განსაკუთრებული მანქანმრავლობაა დილის საათებში, ამიტომ მძღოლები ზედმიწევნით იცავენ ყველა იმ მოთხოვნას, რომლებმაც სრული გარანტია უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო მოძრაობისათვის. პიკის საათებში ჭაჭანაძის პროსპექტზე, დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალზე უწყვეტ ნაკადად მოედინება ავტომანქანების ჭარავანი. ღმერთმა ნუ ქნას, რომელიმე მძღოლმა ოდნავ დაარღვიოს მოძრაობის წესები, ავარიული სიტუაცია შეიქმნება უმალ.

ცხრას ათი წუთი უკლდა. ეს ის დროა, როცა პიკის საათი ზენიტს აღწევს. და უეცრად ყველას თვალწინ ჭაჭანაძის პროსპექტზე ორღერძულა უწყვეტ ხაზზე ელვის სისწრაფით მოუხვია უცხოური წარმოების ავტომობილმა. მკვეთრი დამუხრუჭების ეკო გამოსცა პროსპექტმა, იღბლად, თავხედობა და ხულიგნობა მშვიდობიანად დამთავრდა. უცხოური წარმოების უკანასკნელი მოდიფიკაციის „აუდ-100" მარკის ავტომობილმა კი, რომლის სახელმწიფო ნომერია ს 88-66 გა, უდიდესი სისწრაფით არხეინად განაგრძო გზა.

საგზაო მოძრაობის წესების ასეთ დარღვევას პიკის საათებში კი არა, შუალამისას, როცა ქალაქში კანტ-კუნტად დაღიან მანქანები, გამოუსწორებელი ავტომოჯირითეც კი ვერ გაბედავს.

ავტომობილი — პრესტიჟული, სახელმწიფო ნომრები — პრესტიჟული, საჭესთან — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ცხრამეტი წლის ირაკლი მუსერიძე.

სტუდენტი რატომ დადის ინსტიტუტში მშობლების ნაყიდი ავტომობილით, ანდა, საერთოდ, რატომ უნის ავტომანქანის საჭეს თავხედი. რას იტყვიან ამის შესახებ ირაკლი მუსერიძის მშობლები — ინჟინერი დავით მუსერიძე და ექიმი ეუფუნა გუგუშვილი. ასევე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოუწევთ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და იმ დაწესებულებების ხელმძღვანელებს, სადაც მისი მშობლები მუშაობენ.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს შარშან თებერვალში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი სათაურით „უცხოური მანქანების მანია", რომლის რუბრიკამ — „სძლიე სიხარბესა შენსა" — გამოაჩინა, თუ ვინ არიან და რა ასულდგმულებთ უცხოური ავტომობილების მფლობელებს. მართლაც, ამ წერილის შემდეგ უმრავლესობამ ზურგი აქცია უცხოურ ავტომობილებს, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში მაინც დარჩნენ თითო-ოროლანი, რომლებიც ხარკს უხდიან „პრესტიჟულობას", ათამამებენ, თავბრუს ახვევენ, აყოყოჩებენ თავიანთ პირმშოებს, და ამით, სინამდვილეში, ღუპავენ მათ. რამდენმა გაკვეთილმა უქმად ჩაიარა. სწორედ ასეთებს განეკუთვნებიან ავტოხულიგან ი. მუსერიძის მშობლები.

ნდობა ადამიანის საუკეთესო ღირსებაა და მას გაფრთხილება უნდა. სწორედ ნდობიდან წარმოდგება ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ქაღალდი, რომელსაც „მისდობილობა" ჰქვია. ავტომობილების მინდობილობებით გასხვისებამ ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივი სასიათი მიიღო: მშობლები და შვილები, ბებიები და ბაბუები, ბიძეები და ბიცოლები, მამიდაშვილები და დეიდაშვილები, ნათლიები და მეზობლები, ყველანი, ვისაც ერთმანეთთან ხელი მიუწვდება. არის ქუჩებსა და საავტომობილო გზებზე აღმა-დაღმა თავაწყვეტილი ჯირითი. ავტომობილების მინდობილობით მართვამ მრავალი ნეგატიური მოვლენაც წარმოაჩინა.

თბილისში ირთვინის ქუჩის № 37 სახლში მეცხრეებზე პენსიონერმა ეკატერინე ხატიაშვილმა „ეიგული" იყიდა. დავუჯეროთ რომ თავისთვის? ვერ დავუჯერებთ, რადგან მესამე წელიწადია მანქანა აქვს და მისი მართვა დღემდე არ უსწავლია!

ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, მის სახელს სხვა ამოეფარება და მინდობილობით გახდება ავტომანქანის ფაქტობრივი მფლობელი. მართლაც ასე მოხდა — მანქანას ყიდვის დღიდანვე დააქროლებს მისი შვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს კიროვის რაიონის საექსპლოატაციო-სარემონტო კანტორის თანამშრომელი დიმიტრი ხატიაშვილი.

დ. ხატიაშვილი მოყვარული მძღოლების იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც „პროფესიონალი დამრღვევები" არიან — არ ემორჩილებიან საგზაო მოძრაობის წესებს. თელავ-თბილისის საავტომობილო გზაზე დ. ხატიაშვილი გადაჭარბებული სიჩქარით მიაქროლებდა ავტომობილს, წესების უხეში დარღვევით უსწრებდა ტრანსპორტის საკადებს და არაერთი აშკარა საავარიო სიტუაცია შექმნა. საგზაო ზედამხედველობის მუშაკების ნიშანზე — გაჩერებულიყო, თავზეხელაღებულმა ყურად არ იღო ავტოინსპექტორთა მოთხოვნა და კვლავ დიდი სიჩქარით განაგრძობდა სვლას. ავტომოთარეშის თავგასულობა იძულებით აღკვეთეს წესრიგის დამცველებმა.

ამჯერად ხულიგანი და თავზეხელაღებული დ. ხატიაშვილი მთვრალი აღმოჩნდა. იგი ყოველგვარ „სიკეთესთან" ერთად ხარკომანიც არის, რისთვისაც გაასამართლეს, ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ წელიწად-ნახევარი პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ დ. ხატიაშვილი ისევ კაცია, ვერც ციხის რეჟიმს დაემორჩილა და იქაც განაგრძობდა წესრიგის დარღვევასა და ხულიგნობას.

ადამიანი დამნაშავედ არ იბადება. არასწორი აღზრდის გამო ხდება იგი საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი და დამნაშავე. ამიტომ უთქვამთ: ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილია.

ᲡᲐᲠᲔᲘᲓᲝ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ.

ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲑᲨᲘ...

ᲓᲐᲕᲘᲗ ანდღულაძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ვოკალური სკოლის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მან თითქმის ნახევარი საუკუნე შეალია. მის მოწაფეებს შორის არიან ზურაბ ანჯაფარიძე, ზურაბ სოტკილავა, თენგიზ ჩაჩავა, ნოდარ ანდღულაძე და სხვები, რომლებიც ღირსეულად ავითარებენ თავიანთი მასწავლებლის შემოქმედებითს პრინციპებს და ამით უკვდავყოფენ საბჭოთა მსახიობის ხსოვნას.

დღეს ის ოთხმოცდაათი წლისა გახდებოდა. ამ თარიღს დიდი პატივისცემით აღნიშნავენ მისი ნამოწაფრები, მეგობრები და კოლეგები. სახალხო არტისტის ჭეშმარიტად ბრწყინვალე ნიჭის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები.

დავით ანდღულაძის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც გაიმართა თბილისის ვ. სარჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. სამი დღის განმავლობაში მოსკოველი, ლენინგრადელი, სვერდლოვსკელი, ყაზანელი, რიგელი, ტაშკენტელი, ერევნელი, თბილისელი მეცნიერ-მუსიკოსები, პედაგოგ-პრაქტიკოსები დაინტერესებით მსჯელობდნენ საბჭოთა ვოკალური ხელოვნების ახალი ცვლის აღზრდის გაუმჯობესების გზებზე. ერთმანეთს უზიარებდნენ პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებას, აანალიზებდნენ დავით ანდღულაძის პედაგოგიურ პრინციპებს, რომელებსაც ახლა წარმატებით იყენებენ მისი მოწაფეები.

სამეცნიეერო სესიის გარდა გაიმართა კონცერტიც, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ვოკალისტები — პედაგოგ თენგიზ ჩაჩავას ალსაზღდელები, ხოლო თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სცენაზე უჩვენეს დონიცეტის ოპერა „სიყვარული ნექტარი".

საიუბილეო ზეიმი გაგრძელდება ბათუმსა და მახარაძეში და დიამთავრდება მომღერლის მშობლიურ სოფელ ბახვში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.10 — მოამბე. 10.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პარტკომის მდივანი". I და II სერია. 13.00 — ტელეეურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავ